1.დირექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N 2-46 სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის შეფასების მექანიზმი და ინსტრუმენტები. აღნიშნული დოკუმენტის მე-9 თავი ეხება შეფასების პროცესს, რომელსაც ახორციელებს დირექტორის მოადგილე. დოკუმენტში დეტალიურადაა გაწერილი შეფასების პროცესი. პროფესიული საჭიროებების კვლევის შესახებ საუბარია დოკუმენტში ,,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია". აღნიშნული დოკუმენტის მე-8 მუხლი ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტრუმენტს. სისტემატიური სახე აქვს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და უკუკავშირის გაცემას. .**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

2.როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა რეგულარულად ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება მხარდამჭერი ღონისძიებები. თითოეულ თანამშრომელს საშუალება აქვს სკოლაშივე მიიღოს დეტალური უკუკავშირი სკოლის დირექციისგან. როგორც ირკვევა, სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარებაა და შესაბამისი მხარდაჭერაც უზრუნველყოფილია. ზოგადად, ტექნოლოგიების გამოყენება ყველა მიმართულებით (როგორც სწავლა-სწავლების პროცესში, ისე პროფესიული განვითარებისათვის) შესაძლებელია სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მივიჩნიოთ. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა თანამშრომელთა სხვადასხვა აქტივობებში (ტრენინგები, კონფერენციები, შეხვედრები, პროექტები) მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3.სკოლის სამოქმედო გეგმაში, კერძოდ კათედრის დებულებასა და პირველი სხდომის ოქმში  გაწერილია მასწავლებლებთან თემატური შეხვედრების თემატიკა (მაგ., შეფასების ინსტრუმენტები, კომპლექსური დავალებების თემატიკა, გამოცდილების გაზიარება, კათედრებს შორის ინტეგრირებული თანამშრომლობა და სხვა). ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის " დოკუმენტის მე-7 მუხლი ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სკოლაში მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია, რომ სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები: • რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს? • რა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

**.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4.სკოლას აქვს კარგი გამოცდილება, სასკოლო კულტურის ნაწილად ქცეული ტრადიცია, რომელიც ხელს უწყობს ახალ თანამშრომელს ადვილად ადაპტირდნეს სასკოლო გარემოსა თუ სასკოლო საზოგადოებასთან. ახალ კადრებს აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამის ინფრასტრუქტურით. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5.პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარკვეული თანხა ინიციატივების განსახორციელებლად. ასევე სკოლა ხელს უწყობს საგრანტო პროექტების მოზიდვას. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. ასეთ მასწავლებლებს სკოლა აჯილდოებს სიგელებით, ფულადი პრემიით. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში მათ მონაწილეობას. შიდა საკლასო თუ სასკოლო პროექტების დაგეგმვა - განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

2.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

3.ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

4.საპრემიო ფონდის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელ მოწერები: 



-------------------------
-------------------------

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა დოკუმენტაციით. ეფუძნება პროცედურულ მიდგომებს, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მიმართულების ხარისხობრივი მაჩვენებელი. სწორედ ამის საფუძველზე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისი ღონისძიებები. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებით, მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით. ვიზიტის დროს სკოლამ დაგვახვედრა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, პროცედურები და მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2.დაწესებულების შინაგანაწესი დეტალურად აღწერს იმ პროცესებს, რომელიც სკოლის თანამშრომლების საქმიანობას არეგულირებს, მათ შორის - შრომის პირობებს, მასწავლებლების და მოსწავლეების წახალისების სახეებს, დისციპლინურ პასუხისმგებლობას, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს და ა.შ. სკოლის ერთწლიანი საქმოქმედო გეგმაც, აღწერს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, შემსრულებელ პირებს და დროის კონკრეტულ მონაკვეთს - განხორციელების ვადებს. სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა" მე-4 და მე-5 მუხლში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3.სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები - მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის სახეები (ცალ-ცალკე), დისციპლინური წარმოების წესი (მოსწავლისთვის და მასწავლებლისათვის), განცხადების და საჩივრის განხილვის წესი და.ა.შ. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა შესარჩევ კონკურსებთან დაკავშირებით, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. მოსწავლის, პერსონალის, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვასა და ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების წესსა და პროცედურებზეა საუბარი დირექტორის 2023 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N2-51 დამტკიცებულ დოკუმენტში ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის" დოკუმენტში.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**რჩევა - სკოლის შინაგანაწესში, ასევე, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით არის ჩანაწერები გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის შესახებ, თუმცა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**იმისათვის, რომ სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა მეტად დაიხვეწოს და ხელმისაწვდომი გახდეს, კარგი იქნება თუ სკოლა ცალკე დოკუმენტად შეიმუშავებს ან სკოლის შინაგანაწესში გაწერს გასაჩივრების დეტალურ პროცედურებს.**

4.პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში. ასევე, დირექტორის2023 წლის 25 აპრილის ბრძანება N2-20 დამტკიცებულ თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და ასევე დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დირექტორის 2023 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N2-51 დამტკიცებულ დოკუმენტში ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის" დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილია უფლებები და მოვალეობები და მათი დაცვის მექანიზმი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. კათედრის ოქმები
3. შინაგანაწესი
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
6. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
7. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი
8. შრომითი ხელშეკრულებები

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ვებ გვერდზე სკოლის შესაბამისი გვერდი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გვერდის სრულყოფა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2.სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც, მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც მინიმუმამდე ამცირებს მიკერძოების, ცალკეული ინდივიდების მიმართ უსამართლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევებს. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს, სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად რესურსცენტრის მიერ განსაზღვრული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას (ოქმები, გადაწყვეტილებები), რამაც ნათლად დაადასტურა, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელ მოწერები:

-------------------------
-------------------------

ზემოაღნიშნული სტრუქტურული რგოლების გავლენა და თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში მაღალია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.მშობელთა კრების ოქმები

2. სამეურვეო საბჭოს ოქმები

3.დისციპლინური კომიტეტის ოქმი

4.მრჩეველთა საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლა შედგება ერთი სასწავლო კორპუსისგან. ძირითადი კორპუსი საკადასტრო 46.04.36.057 სამ სართულიანი შენობა განაშენიანების ფართი 1343,1 კვ.მ სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის, საგანგებო სიტუაციებში რეაგირების და პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები: უზრუნველყოფილია სკოლაში შესვლა-გასვლის კონტროლი და ვიზიტორთა აღრიცხვა; შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და გაწერილია შტაბის წევრების ფუნქციები; სკოლაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მორიგე მასწავლებელი. სკოლის ტერიტორია შემოღობილია; სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები. განთავსებულია ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმა. სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ. თუმცა სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების სააგენტოდან გაცემული მიწერილობა და მიწერილობაში არსებული მოთხოვნების შესრულების მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის დაფინანსების თხოვნით გაგზავნილი წერილი. სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. აღნიშნული დასკვნის მიღების თხოვნით სკოლამ მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში. სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი ექიმი, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს, თუმცა არ არის წარმოდგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგის წარმოების ამსახველი დოკუმენტი.

- **არგუმენტირებულ პოზიციაზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელში გაწერილი ვადების მიხედვით 26.07.2023-26.07.2024წწ სკოლა მოიპოვებს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

- არგუმენტირებულ პოზიციაზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელში გაწერილი ვადების მიხედვით 26.07.2023-26.07.2024წწ სკოლა მოიპოვებს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას
- არგუმენტირებულ პოზიციაზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელში გაწერილი ვადების მიხედვით 26.07.2023-26.07.2024წწ სკოლა მოიპოვებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნას

**შესაბამისად ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2.სკოლას შექმნილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების" საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლაში არის სათვალთვალო ვიდეოკამერები, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, რომლის მონიტორი განთავსებულია დირექტორის ოთახში და მასზე წვდომა მხოლოდ მას აქვს. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით, ექიმის მომსახურებით, სახანძრო უსაფრთხოების სისტემით. შენობასა და ეზოს პერიმეტრზე უცხო პირთა შემოსვლა-გადაადგილება კონტროლდება. გამონაკლისი დაიშვება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მხოლოდ დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს და აღრიცხავს უფლებამოსილი პირი. დირექტორის ინდ. სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სასკოლო დერეფნებსა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში.

**შესაბამისად ინდიკატორი 3.4.1.2.შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან**

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, რაშიც მოსწავლეებს დახმარებას უწევს კლასის ხელმძღვანელები და უსაფრხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერარზე პასუხისმგებელი პირი. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ჰყავთ სპეციალური მასწავლებელი. სადამრიგებლო პროგრამებში და სასკოლო სასწავლო გეგმაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას..**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

4.სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები. სველი წერტილი მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, ურნებით. გაწერილია სკოლისა და ეზოს დალაგება-დასუფთავების განრიგი. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად, ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში.

**შესაბამისად ინდიკატორი 3.4.1.4.. .შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

5.. სკოლას დირექტორის 2023 წლის 17 აგვისტოს N2-49 ბრძანებით დოკუმენტად შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათ უფლება-მოვალეობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

6.სკოლა მონაცემების შეგროვებას დამუშავებასა და დაცვას ახდენს ,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, აღნიშნული გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში, შინაგანაწესში, ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშც ჩანს მშობლების თანხმობები მათი შვილების ფოტოებისა და სხვა მაიდენტიფიცრებული მონაცემების სოციალურ ან/და საჯარო სივრცეში გამოქვეყნების შესახებ. სკოლა მონაცემებს ამუშავებს, აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით. სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

7.სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

2. საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება

3.უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

4.ს ახანძრო უსაფრთხოების მიწერილობა

5. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი წერილი

6.საშტატო განრიგი

7.მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება

8.რეფერალზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

9.სადამრიგებლო გეგმა

10.პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი

11,ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის დადებული

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელ მოწერები:

-------------------------

-------------------------

☐ შესაბამება
☐ მეტწილად შესაბამება
☐ ნაწილობრივ შესაბამება
☐ არ შესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლა განთავსებულია მისამართზე: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ კირცხში მდგარ სამსართულიან შენობასა და აღნიშნული კორპუსიდან დაახლოებით 6 კმ-ით მოშორებულ მეორე (ე.წ. ლეტეშის) კორპუსში. აღნიშნულ მისამართზე არსებული ორივე ინფრასტრუქტურა სახელმწიფოსაგან მიღებულია უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე.ძირითადი კორპუსი უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას დამხმარე შენობები. ბიბლიოთეკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კაბინეტის შენობა, გათბობის ქვაბის შენობა, წყალსაქაჩის შენობა და გარე საპირფარეშოს შენობა. სკოლის პირველი კორპუსის ეზო 30 530 კვ. მეტრია, მეორე კორპუსის ეზო 984 კვ.მეტრი. სკოლის პირველი კორპუსის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა, სკოლაში არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი აქვს. . კომპიუტერების ლაბორატორია აღჭურვილია 31 ლეპტოპით, 4 პროექტორით, 3 ქსეროქსის აპარატით. სკოლას 2019 წელს მილენიუმის პროექტის ფარგლებში ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. პასპორტის მიხედვით სკოლა გათვლილია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

136 მოსწავლეზე (ერთ ცვლაში). ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 125 მოსწავლე (ორ ცვლაში). სრულადაა დაცული და გამართული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. ყოველწლიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და მატერიალური რესურსების შეკეთება-განახლება.

**შესაბამისად ინდიკატორი 3.5.1.1. .შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან**

2.სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, სასადილო, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის არსებობს რეკრიაციული სივრცე, მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო.(რასაც ვერ ვიტყვი ლეტეშის კორპუსთან დაკავშირებით). სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც ემსახურება და კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ფიზიკურ უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი, რომლითაც ამ ეტაპზე სარგებლობს 1 სსსმ მოსწავლე. სპეცმასწავლებელთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ რესურს ოთახის აღჭურვა-განახლება ხდება პერიოდულად მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე. საჭიროებების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ინფორმაციას აწვდის სპეციალური მასწავლებელი, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას საგნის მასწავლებლებისაგან იღებს. თ. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და მასში განთავსებული ხელსაწყოები თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის ვინც სწავლობს ბუნებისმეტყველებას, ქიმიას, ფიზიკას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ბიოლოგიას. საგაკვეთილო ცხრილი ისეა შედგენილი, რომ მაქსიმალურადაა თავიდან აცილებული გაკვეთილების დამთხვევა, რათა ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს ჰქონდეს საშუალება გაკვეთილი ლაბორატორიაში ჩაატაროს. კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ისტ. ან კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილზე, არამედ ნებისმიერი მასწავლებელისთვის, რომელიც დაგეგმავს გაკვეთილს ისე, რომ საჭიროებას მოითხოვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება. ლაბორატორია წარმოადგენს საზიარო სივრცეს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც გაკვეთილების დასაგეგმად, ასევე დავალებების მომზადებისთვის. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერული რესურსი, როგორც საგაკვეთილო, ისე - არასაგაკვეთილო პერიოდში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ასევე, ყველასათვის ხელმისაწვდომია სპორტული დარბაზი და სპორტული ინვენტარი. ამ შემთხვევაშიც საგაკვეთილო ცხრილის დახმარებით ხდება ისე, რომ მაქსიმალურად არ დაემთხვეს გაკვეთილები, შესაბამისად, მოსწავლეებს შეუძლიათ სრულად და ჯეროვნად გამოიყენონ სპორტული სივრცე და აღჭურვილობა. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებს საშუალება აქვთ არასაგაკვეთილო პერიოდშიც გამოიყენონ სპორტული სივრცე, სპორტულ დარბაზთან ერთად - სკოლის ეზოში არსებული სპორტული მოედანიც. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა 8900-ზე მეტი წიგნადი ფონდით, რომლის განახლება პერიოდულად ხდება. განახლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასევე მასწავლებელთა სურვილები სასწავლო რესურსად გამოიყენონ მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას -მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. მისი მუშაობა ხორციელდება დებულების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

გᲐნᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**შესაბამისად ინდიკატორი 3.5.1.2. .შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან**

3.სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები, სსსმ მოსწავლეებისთვის რესურს ოთახში დგას მათ საჭიროებაზე მორგებული ინვენტარი. სკოლის შენობას აქვს პანდუსი, შენობაში შემოსვლა მოსახერხებელია ეტლით მოსარგებლისთვისაც. შიგნითაა განთავსებული სველი წერტილები, მათ შორის - ადაპტირებულიც. რადგან ეტლით მოსარგებლისათვის სართულებს შორის გადაადგილება არ არის მოსახერხებელი ამიტომ, მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული, რომ პირველ სართულზევე ყოფილიყო განთავსებული ყველა საჭირო ოთახი და კაბინეტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. . სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად, რომელიც სასკოლო თუ რაიონული მასშტაბებით იმართება. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც გამოყენებულია პროექტებისა და ღონისძიებებისათვის. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

**შესაბამისად ინდიკატორი 3.5.1.4. .შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

5.გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სკოლას ახლადგარემონტებული კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები აქვს. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები და უზრუნველყოს სწავლების მაღალ სტანდარტებზე განხორციელება.. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების არსებობა დასტურდება როგორც დათვალიერებით, ისე შესყდვების დოკუმენტაციითა და სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

2.მიღება-ჩაბარების აქტები

3.სკოლის პასპორტი

4.ინვენტარიზაციის მასალები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

5.სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის წესი

6.ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი

7.შესყიდვების ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლა აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის.სკოლას აქვს 20 კომპიუტერი, ავტორიზაციასთან დაკავშირებით  დამატებით მიიღო 11 კომპიუტერი, ოთხი პროექტორი, კომპიუტერული და Stem- ლაბორატორია, რომელთაც ჰყავთ პასუხისმგებელი პირი.  როგორც შენობა, ასევე ეზო დაფარულია WI fi სიტემით, თუმცა საკლასო ოთახები არ არის აღჭურვილი კომპიუტერებით, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას. სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილის სწორად განსაზღვრა ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, კერძოდ სკოლა მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებასათვის ახორციელებს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით პროექტებსა თუ კომპლექსურ დავალებებს.  სკოლაში განხორციელდა intel-ის პროექტი „ბედნიერი ხარ“ რომელიც ითვალისწინებდა scratch-პროგარმის გამოყენებას პროექტის ფარგლებში, მისი მიზანი იყო მოსწავლეებს გაეცნობიერებინათ ციფრული მოქალაქეობის კონცეფციები, იყვნენ ფრთხილები და პასუხისმგებლიანები ინტერნეტით სარგებლობის დროს.

**შესაბამისად ინდიკატორი 3.6.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან**

2.სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი და შეუფერხებელი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილობები. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, პროექტორები, ქსეროქსის აპარატები (ერთი ფერადი) მუდმივად, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლას საგაკვეთილო ცხრილი შემუშავებული აქვს ისე, რომ ლაბორატორიების გამოყენების საშუალება ჰქონდეს ყველა კლასსა და შესაბამის მასწავლებელს. ლაბორატორიებში თვალსაჩინოდ არის გამოკრული რესურსებით სარგებლობის წესები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის წესი.

**შესაბამისად ინდიკატორი 3.6.1.2. .შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის წესი

2.ლეპტოპების მიღება-ჩაბარების აქტები.

3.განხორციელებული პროექტების დოკუმენტაცია

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება (e-flow) სისტემის მეშვეობით. სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი ძალადობისა და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განცხადი. მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან).სკოლის ბუღატრული დოკუმენტაცია, წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2..სკოლის მართვაში გამოიყებება დოკუმენტბრუნვისთვის ელექტრონული სისტემები Eflow. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა- eschool, ელ.ფოსტა და მატერიალური საცავი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

3.. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge. რომლის საშუალებითაც სკოლის მთელ პერსონალზე და მოსწავლეებზე გახსნილია ველი, რომელშიც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია. . როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლას სრულყოფილად ასახავს ინფორმაციებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (თანამშრომელთა მონაცემები, მასწავლებელთა სტატუსები, მოსწავლეთა მონაცემები და ა.შ). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელ მოწერები:

-------------------------
-------------------------

დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. .სკოლის eschool -ის გვერდი
2. სკოლის eflow -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
4. საქმისმწარმოებლისა და საინფორმაციო მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქციები
5. საქმისწარმოების წესი.
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი
7. 10 დეკემბერს გაგზავნილი ინფორმაცია.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლა იყენებს, სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. . სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლას აქვს ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელიც ჯერ სრულყოფის პროცესშია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

2.სკოლის მიერ სხვადასხვა არხებით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი და სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

3.სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, TEAMS-ის პლატფორმას. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. . .საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

4.სკოლას აქვს ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელიც ჯერ სრულყოფის პროცესშია, კერძოდ, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge კირცხის თემის N1 საჯარო სკოლას აქვს თავისი გვერდი. ჯერ-ჯერობით მასზე განთავსებულია მწირი ინფორმაცია. მაგრამ სკოლა მუშაობს ამ მიმართულებით და სასწავლო წლის დაწყებამდე ინფორმაციას სრულყოფს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

5. სკოლის ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი ჯერ-ჯერობით შეიცავს მწირ ინფორმაციას. სკოლაში ვიზიტის პერიოდში მასზე განთავსებული იყო 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია და ხედვა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მშობელთა კრების ოქმები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. სკოლის შინაგანაწესი
4. საინფორმაციო დაფა
5. სკოლის სოციალური გვერდ
6. ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება. შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფას. თუმცა, დარჩენილი თანხა მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სკოლის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. მიუხედავად ნაკლები შემოსავლებისა, სკოლა ახარხებს მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. **ინდიკატორი  შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

2.სკოლას ფინანსების ეფექტიანი მართვის მიზნით ჩამოყალიბებული აქვს დაგეგმვის, განკარგვის მონიტორინგის სისტემა. ყოველი წლის ნოემბრის თვეში კათედრებიდან, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორიდან და სხვა პასუხისმგებელი პირებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დირექტორის დავალებით უფლებამოსილი პირი ახორციელებს ბაზრის კვლევას, რაზე დაყრდნობითაც დგება მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით არაუგვიანეს 31 დეკემბრისა, დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. წელიწადში ორჯერ სკოლის ბუღალტერი ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის ბიუჯეტი
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის ცვლილებაზე
4. 10 დეკემბრის დირექტორის ანგარიში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

5. შესყიდვების გეგმა
6. ცვლილება შესყიდვების გეგმაში
7. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1..მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციებს შორის უპირველესია სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის უფლებები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე მოსწავლის უფლებების დაცვას განაპირობებს ხელშეკრულება, რომელიც იდება სკოლასა და მშობელს შორის. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N2-48 „სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლის ჩარჩო რეგულაციების დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულების დამტკიცების შესახებ". დოკუმენტის მიზანია მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური კონტროლისა და პრევენციის მიმართულებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ხელშეწყობა შესაბამისი ღონისძიებების გაძლიერების მიზნით. მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური განხორციელებისთვის სკოლა ქმნის (სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე), მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და მოსწავლეების (საჭიროების შემთხვევაში სახალხო დამცველის მოწვეული წარმომადგენლის) შემადგენლობით. ასევე, მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის 2023 წლის

17 აგვისტოს ბრძანება N2-51 ,,სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ". დოკუმენტის მიხედვითსკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის"), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით: 2.1. სკოლას აქვს შინაგანაწესი; 2.2. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო; 2.3. სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი; 2.4. სკოლას ყავს მანდატურები/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; 2.5. სკოლის ექიმი/ექთანი; 2.6. თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი; 2.7. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მორიგეობის განრიგი, ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები და სხვადასხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3..სკოლის თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. 1-ლი მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების საგანია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. მკაფიოდაა გაწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მე-4 მუხლი ეხება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელ მოწერები:

-------------------------
-------------------------

მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პირობებს. ხოლო მე-9 მუხლში საუბარია იმაზე, რომ ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი და აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტ*

*ის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N2-48 ,,სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლის ჩარჩო რეგულაციების დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულების დამტკიცების შესახებ"



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

2.სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N2-51 ,,სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ"

3..სკოლის შინაგანაწესი

4.მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

5. სკოლის დირექტორის 2017 წლის 24 ნოემბრის ბრძანება N2-74

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.1.სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესის შესახებ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია საჯარო სკოლის დირექტორი მიერ 2023 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N2-50. აღნიშნულ დოკუმენტით სკოლას დეკლარირებული აქვს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ ინფორმაციისა/დოკუმენტის ხელმისაწვდომობას და ღიაობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას“. მასში გაწერილი მოსწავლის სტატუსის მოპოვება - პირველ კლასში ჩარიცხვა, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მოპოვება, მობილობის უფლება, მობილობა, მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა, მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა, კლასისა და საფეხურის დაძლევა. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები, რომელიც ეხება აღნიშნულ საკითხებს სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მეცნიერების მინისტრის შესაბამის ბრძანებასთან და სკოლის მიერ მიღებულ დოკუმენტთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.სკოლის მიერ გადმოგზავნილ მტკიცებულებებსა და ადგილზე ვიზიტის დროსაც ნანახ დოკუმენტაციაში, კერძოდ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში, რომელიც ეხება მოსწავლის ს ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და ინდიკატორში მითითებული მექანიზმი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3..სკოლას აქვს ტრანსპორტით მომსახურება, რომლის პირობებისა და სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ისევე, როგორც სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის მარეგულირებელი ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების. ესაა პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ასევე იგი ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ასაჯაროვებს სოციალური ქსელის სკოლის ოფიციალური გვერდის საშუალებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს სოციალურ ქსელში შექმნილი აქვთ მშობელთა სივრცე, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის დირექტორი მიერ 2023 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N2-50.

2.სკოლის შინაგანაწესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

3.სკოლის დირექტორის ბრძანება N2-16 11.04.2023

4.სკოლის დირექტორის ბრძანება N2-04 21.03. 2023

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმის რაიმე სპეციალურად დაწერილი წესი, წერილობით გაფორმებული დოკუმენტი არ აქვს. თუმცა, აქვს სადამრიგებლო პროგრამები, სადაც გაწერილია მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ეტაპები. აღნიშნული ასევე დადასტურდა ინტერვიუების დროს. მოსწავლის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი კლასის ხელმძღვანელები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2..როგორც სკოლაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან გაირკვა მოსწავლეთა მხარდაჭერა ძირითადად ხდება კლასის ხელმძღვანელების მხრიდან. მაგალითად პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ მომავალი დამრიგებელი ეცნობა მოსწავლეებს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

იწვევს მათ და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლაში სასკოლო გარემოს დასათვალიერებლად, რათა მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ ადაპტაცია. სწავლის დაწყების პირველ დღეს ხდება მოსწავლეთა საზეიმო დახვედრა. კლასის ხელმძღვანელთა სადამრიგებლო პროგრამებს ადასტურებს მოსწავლეთა მხადაჭერაზე ზრუნვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3..გასაუმჯობესებელი აკადემიური მიღწევების გამოკვეთას სკოლა ახდენს შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე. რის შემდეგაც ხდება საჭიროებების დადგენა და ინტერვენცია. როგორც ინტერვიუს დროს დადგინდა საჭიროების შემთხვევაში ხდება რემედიაციული დახმარება. კომპლექსური ტიპის დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებზე და ეხმარება მათ პროგრესის მიღწევაში. მასწავლებელთა განმარტებით მოსწავლეს წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით ეხმარება განმავითარებელი შეფასება, რომელსაც ახორციელებენ, როგორც წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკის მიხედვით წერილობითი ფორმით, ასევე ზეპირი კომენტარის სახით. ამის მტკიცებულებაა საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4..სკოლის მხრიდან მოსწავლესთან მიმართებაში ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება გონივრულ ვადებში. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება კლასების დაკომპლექტება და დამრიგებლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

დანიშვნა. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. მნიშვნელოვანია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის ასახვა, რასაც სკოლა შეუფერხებლად ახორციელებს. ხდება ისგ ჯგუფების შექმნა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობის დაწყება. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მზაობა დაუნიშნოს მოსწავლეს სემესტრული გამოცდა. ასევე გამართულად წარმართოს ექსტერნის გამოცდა. ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიმართულებით სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ტრანსპორტით მომსახურებას. რაც მნიშვნელოვანია მათი უსაფრთხოებისათვის. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც ნათლად გამოჩნდა eflow-ს გადამოწმებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5.სკოლაში ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა ხორციელდება. არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში ხორციელდება სასკოლო, ადგილობრივი თუ სახელმწიფო მასშტაბის პროექტები. სასკოლო პროექტების შერჩევა ხდება მოსწავლეთა გამოკითხვის საშუალებით. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ინიციატივის შესახებ წერილობით მიმართონ სკოლის ადმინისტრას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო დაგეგმვასა და განხორციელებაში. აქტიურია და წარმატებით მუშაობს სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი, სკოლაში მიმდინარე პროცესები ხელს უწყობს მოსწავლეებს გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გადალახონ სიძნელეები, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებაზე, შეასრულონ დაკისრებული ვალდებულებები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სასკოლო კლუბების ხელშეწყობით არაერთი ღონისძიება ხორციელდება. მოსწავლეების არაფორმალური აქტივობები საკმაოდ ხშირია. მათი მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა ფორმითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით. სკოლა ჩართულია სამოქალაქო განათლების პროგრამის განვითარებაში, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ ცოდნა და უნარები, რაც მოეთხოვება დემოკრატიული, სამოქალაქო თვითშეგნების მქონე საზოგადოებას. სკოლის სამოქალაქო კლუბმა მონაწილეობა ,,მიიღო სკოლა ბიზნეს ფორუმში'', სადაც მოსწავლეებმა წარმოაჩინეს სიღრმისეული გააზრების უნარი ბიზნესწინადადების მიწოდების კუთხით, და აქტიურად აწარმოეს მოლაპარაკებები. კლუბის პრიორიტეტულ მიმართულებას, ადამიანის უფლებებთან ერთად, წარმოადგენს ,,ეკონომიკა მეწარმეობა''. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად უჭერს მხარს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელ ინიციატივებს და თანამშრომლობს მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად, როგორც შიდა სასკოლო ასევე არაფორმალურ გარემოში დაგეგმილ პროექტებსა თუ ინიციატივებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

6..მოსწავლეთა მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად სკოლა ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების წევრების უკუკავშირის ანალიზს. უკუკავშირი შეიძლება მიღებული იქნას წერილობითი ან ზეპირი ფორმით. წერილობითი ფორმით შეიძლება გამოიხატებოდეს მასწავლებელთა ანგარიშებში ან კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმებში. ზეპირი სახით კი მშობელთა კრებებზე გამოთქმულ მოსაზრებებში, დამრიგებლის მიერ კლასის საათის ჩატარების დროს, სოციალურ ქსელში დაფიქსირებული პოზიციით ან პირისპირ შეხვედრების დროს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პროექტი (საკლასო/სასკოლო)
2. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
3. სადამრიგებლო საათის ამსახველი დოკუმენტაცია
4. კლასის მოსწავლეთა კრების ოქმი
7. არასამთავრობოებთან თანამშრომლობის ამსახველი ფოტოები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.ამ ეტაპზე, სკოლა არ ახორციელებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას. თუმცა, არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა. მოსწავლეების სურვილისამებრ შეხვედრა შედგა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ ადამიანებთან. უმაღლესი სასწავლებლები და პროფესიული კოლეჯები პროგრამების გაცნობის მიზნით ახორციელებენ ვიზიტს სკოლაში, ასევე სკოლაც თავისი ინიციატივით ახორციელებს მოსწავლეთა გასვლით ვიზიტებს პროფესიულ კოლეჯებში.. აღნიშნული ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს ფოტომასალა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

2..სკოლა ცდილობს მუდმივად მიაწოდოს მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებული და სანდო ინფორმაცის ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მე-9 კლასის დამრიგებელი მშობლებთან შეხვედრისას აცნობს მათ პროფესიული განათლების მიღების საშუალებებს. ასევე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე მოსული ინფორმაცია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან თუ პროფესიული კოლეჯიან შემოთავაზებებისა და სერვისების შესახებ დაუყონებლივ ეგზავნებათ მოსწავლეებს მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. აღნიშნული ქმედება უიოლებს მათ არჩევანის გაკეთებას, გადაწყვეტილების მიღებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3..როგორც სკოლაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა უკუკავშირის მიღება გაწეული მომსახურების შესაფასებლად ხდება ძირითადად ზეპირი სახით. თუმცა გეგმავენ ეს უკუკავშირი გახადონ წერილობითი, რისთვისაც შეიმუშავებენ ანკეტირების ფორმატს ან შესაჯამებლად კრიტერიუმები. უკუკავშირის მიღება საჭიროა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სხვადასხვა დაწესებულებაში ვიზიტების ამსახველი მასალა;

2.მშობელთა უკუკავშირი.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას ამჟამად ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე. სმენისა და მეტყველების დარღვევით. მისთვის სკოლას შექმნილი ჰყავს ისგ ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია თითოეული საგნის მასწავლებელი, ბავშვის მშობელი და სპეციალური პედაგოგი. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური პედაგოგი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს, სსსმ მოსწავლესთან და ეხმარებიან

მას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში შექმნილია სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, ისგ-სამუშაო ჯგუფი ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრონციპებს. სკოლის თანამშრომლები ერთობლივი ძალისხმევით ცდილობენ დასახული მიზნის მიღწევას. სპეც. მასწავლებელს შემუშავებული აქვთ ინტერვენციის გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საგნის მასწავლებლის ისგ - თან და შესაბამისად ხორციელდება მოსწავლესთან მუშაობა. სკოლა მუდმივად ზრუნავს სსსმ მოსწავლე იყოს მთლიანი კლასის განუყოფელი ნაწილი და ჩაერთოს ყველა სახის სასკოლო პროექტში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**რჩევა -სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით კარგი იქნება თუ სკოლა მოახდენს მოსწავლის სსსმ საჭიროებების გადაფასების მიზნით პროცედურების განხორციელებას. კერძოდ, სკოლაში ვიზიტის პერიოდში დოკუმენტების შესწავლის პროცესში გაირკვა, რომ ერთ-ერთი სსსმ მოსწავლე, რომელიც ამ ეტაპზე არის საშუალო საფეხურის მოსწავლე, დაწყებით საფეხურზე გაკეთებული შეფასებით სარგებლობს. .**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სსსმ მოსწავლეების ინდ.გეგმები სხვადსახვა საფეხურსა და კლასებში;

2.სადამრიგებლო პროგრამები და დამრიგებლის პორტფოლიოები;

.

**4.2.4.** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შეთავაზებულია მოსწავლეთათვის დამატებითი არასავალდებულო ხასიათის შემდეგი სახის მომსახურება: ტრანსპორტირების სერვისი. ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამით. სკოლას აქვს სურვილი შესთავაზოს მოსწავლეებს სხვა სახის დამატებითი მომსახურება, მაგრამ არ აქვს ამისთვის საჭირო ფართი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2..სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით. წარმოდგენილი მომსახურება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, რაც თავის მხრივ პედაგოგიური საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

3..სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით. სატრანსპორტო მომსახურებისთვის, სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას; ტრანსპორტით მომსახურება რეგულირდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან ყოველთვიური ანგარიშით (თანდართული ყოველთვიური ტაბელი). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ტრანსპორტირების ყოველთვიური ტაბელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

Commented [1]: აღნიშნული ცხრილი ცალ-ცალკე ივსება კურიკულუმების მიხედვით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. დაწყებითი კლასების კურიკულმების შექმნაში მონაწილეობას იღებენ სასკოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

საზოგადოების წევრები. დაწყებითი კლასების დამრიგებლები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ მშობლების მოწვევას და მათ ინფორმირებას ახალ კურიკულუმებთან დაკავშირებით, რათა გაითვალისწინონ მშობელთა მოსაზრებები ამ პროცესებთან დაკავშირებით. სკოლამ იმუშავა და შექმნა კურიკულუმის მეთოდოლოგიის კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც სკოლაში ვიზიტის დროს იქნა წარმოდგენილი. კათედრის წევრი მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ მეთოდოლოგიის შექმნაზე, რათა კურიკულუმის შემუშავების პროცესი ყოფილიყო უფრო ჩართული, გაზიარებული და გამჭვირვალე. ასევე, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მზაობა შემდგომი თანამშრომლობისა რათა საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტში შეიტანონ ცვლილებები და შექმნან იმგვარი მეთოდოლოგია, სადაც კარგად ასახება მთელი წლის მანძილზე კურიკულუმზე მუშაობის პროცესი და გამოიკვეთება, როგორ ხდება წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რათა მოხდეს ინტერესების/პრიორიტეტების გამოკვეთა და მათი ასახვა ამ დოკუმენტში. **შეესაბამება**

2. დაწყებითი კლასების კათედრა კურიკულუმის შემუშავების პერიოდში ერთობლივად მსჯელობს, თუ როგორ შეძლო კლასმა წინა სასწავლო წლის კურიკულუმის დაძლევა. ტარდება დიაგნოსტიკური შეფასებები, რათა

დადგინდეს მოსწავლეთა მიღწევის დონე სხვადასხვა მიმართულებით და მოხდეს მათი საჭიროებების გათვალისწინება ახალ კურიკულუმებში. ასევე, მიღებულ შედეგებს უზიარებენ მშობლებს, რათა მოხდეს მათი ინტერესების დადგენა/გათვალისწინებაც.

სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულობისთვის სკოლაში შექმნილია პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა. კურიკულუმის შემუშავებამდე ხდება გამოცდილების გაზიარება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების. ხდება სკოლის დირექციის, კათედრების ურთიერთთანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვას. **შეესაბამება.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**3.** სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის შექმნასა და განვითარებაში. სკოლა ამ როლის და პასუხისმგებლობის გასაზრდელად გეგმავს კათედრების მეტად გააქტიურებას. კათედრის წევრები განიხილავენ საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო პაკეტებს, ახდენენ შედარებას წინა სასწავლო წელს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებთან და ახალ კურიკულუმებს ადგენენ გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე, ხდება მშობლების ინფორმირება და მათი ჩართულობა. შესაბამისად, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **შეესაბამება**

**4.** დაწყებითი კლასების სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომი და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მისი ნახვა სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია როგორც მატერიალური, ასევე ელქტრონული ფორმით. სკოლა უფრო აქტიურად გეგმავს თანამშრომლობას მშობლებთან. ამ ეტაპზე სკოლას აქვს მათთან ურთიერთობის და ინფორმირების სხვადასხვა საშუალებები. თითქმის ყველა დამრიგებელს სოციალურ ქსელში შექმნილი აქვს მშობელთა ჯგუფი, სადაც ხდება სიახლეების გაცნობა, ასევე ტარდება მშობელთა კრებები. ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმებისა და სადამრიგებლო პროგრამების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მარტივად ხელმისაწვდომობისთვის იგეგმება ამ მასალის გაზიარება კლასების, მშობლებისა და მოსწავლეებისათვის შექმნილ დახურულ ჯგუფებში და სასკოლო საზოგადოებაში, როგორც ზეპირ შეხვედრებზე ასევე ელექტრონული ფორმით.

ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმების შემუშავებისას ხდება კეთედრებს შორის თანამშრომლობა, გაზიარება, უკუკავშირის გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ თავისი როლი და პასუხისმგებლობა მათ მიერ შექმნილი კურიკულუმის განვითარებაში, ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. წარმოდგენილია დოკუმენტები, რომელიც გულისხმობს სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდსა და აქტივობას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. შექმნილი აქვთ დიფერენცირებული მიდგომებისათვის საჭირო რესურსებიც.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. 1-ელ, მე-2, მე-3 და მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებით, საკითხებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

გაწერილია კომპლექსური დავალებებიც თავისი კონტექსმაგალითებით, დანართებით. ქართულ ენასა და ლიტერატურაში 1-ლი და მე-3 კლასების კურიკულუმის ჩარჩო სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი. მე-2 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, მაგრამ არ არის წარმოდგენილი დავალების პირობა. მე-4 კლასში კურიკულუმს მოსდევს პირობა, მაგრამ არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება. კომპლექსური დავალების იდეა ყველა კლასში გაწერილია. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმებს სრულყოფილ სახეს მისცემენ. პედაგოგებს კარგად ესმით, რომ ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება სავალდებულოა ყველა თემის ფარგლებში. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. ასევე, შეფასების რუბრიკების დახვეწითა და განვითარებით , მკაფიოდ იქნება გამოხატული მოსწავლეთა ნაშრომების საუკეთესო თუ გასაუმჯობესებელი მხარეები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას. მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება“. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ - კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. ამასთან, პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა მზადაა, იმუშოს კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) უფრო მეტად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

**მათემატიკის მიმართულებით** დაწყებითი კლასის კურიკულუმებში შესატანია მცირედი ცვლილებები: I - IV კლასების კურიკულუმებში არ წერია ცნებების ქვეცნებები, ჩასაწერია. დასაკონკრეტებელია რესურსებიც. V - VI კურიკულუმებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ქვეცნებების ნაცვლად ქვესაკითხები წერია, საჭიროა შეიცვალოს და დაზუსტდეს თემის და სამიძნე ცნების მიხედვით. ასევე საკითხები დასაკლასტერებელია მიმართულების და თემების მიხედვით
აღსანიშნავია,რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სასკოლო პროექტები, არაფორმალური აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას.. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. *სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა დაწყებით საფეხურზე და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ დიდი გამოცდილება. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მე-3 კლასში სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული გაკვეთილი დიფერენცირების*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

*ელემენტებითა და შეფასების რუბრიკით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.* ***აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.***

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. სკოლას აქვს დიაგნოსტიკური წერის შეფასების გამოცდილება. წარმოდგენილია მე-5,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მე-6 კლასების დიაგნოსტიკური ტესტირების ნიმუშები და შედეგების ანალიზი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა (მე-5 კლასის მეორე სემესტრი, მე-6 კლასი) და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ბოლოს, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი - განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც- უნდა ემსახურებოდეს ამ ამოცანების შესრულებას, რათა დაიფაროს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნები. რიგ შემთხვევეში, უცხოური ენების რუბრიკები საჭიროებენ მეტ კონკრეტიკას და სიზუსტეს. საჭიროა უცხოური ენების რუბრიკები მორგებული იყოს კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე და იძლეოდეს საკითხის სიღრმისეულად შეფასების შესაძლებლობას. ზოგიერთი წარმოდგენილი რუბრიკა არის ზოგადი და არ ამოწმებს კონკრეტული კომპლექსური დავალების მოთხოვნებს. მაგალითად, მე-5 კლასის განმავითარებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

შეფასების რუბრიკა, სადაც წარმოდგენილია კრიტერიუმები კომპლექსური დავალებისთვის ''ჩემი სადილი''. აღნიშნული დავალების ფარგლებში მოსწავლეს ევალება ილუსტრირებული ტექსტის შექმნა სადილთან დაკავშირებით. რუბრიკაში ერთ-ერთი კრიტერიუმად მოცემულია ''პირდაპირ და ნაგულისხმები ნათქვამიდან დასკვნების გამოტანა. ( მაგ., რა მიზანი აქვს ავტორს, ვინ არის ადრესატი, რა მიზანი აქვს ავტორს და ა.შ.)'', რაც ამ კონკრეტული დავალებით ვერ შეფასდება. მსგავსი ტიპის ხარვეზებია უცხოური ენების სხვა რუბრიკების ნაწილშიც. .

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს ინფორმაცია იკითხება სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრისა და დირექტორის მოადგილის ანგარიშებიდან. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ნამუშევრების, დავალებების შეფასებასა და ანალიზს,სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლას განხორციელებული აქვს სხვადასხვა სასკოლო პროექტები. ასევე, წარმოდგენილი აქვს დემოკრატიული სკოლების ქსელში გასაწევრიანებლად განხორციელებული პროექტის გეგმები, რაც ხელს უწყობს როგორც დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას( ესთეტიკის მიმართულება). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა საბაზო საფეხურისთვის. საბაზო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ბოლოს, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. შესაბამისად, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შეფასების ორივე ტიპის გამოყენების აუცილებლობა - განმსაზღვრელისაც და განმავითარებელისაც და ის უნდა ემსახურებოდეს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას. კათედრის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; **აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5 . სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ესაა მასწავლებლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

პირადი პორტფოლიოს ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები, მასწავლებელთა სემესტრული ანგარიშები და ა.შ. მათ წარმოადგინეს კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების კათედრის ანგარიშები, დირექტორის მოადგილის ანგარიში. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მე-7 კლასის კურიკულუმი

მე-8 კლასის კურიკულუმი

მე-9 კლასის კურიკულუმი

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები

პროექტების გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრება სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, საკითხების საგნობრივ ცოდნასთან და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებით უხდება. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს ცხოვრებისეული გამოცდილება, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით დაგეგმილი სასწავლო პროცესები, ასევე საკლასო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება, რაც მოსწავლეებს დაეხმარათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ცოდნის დამოუკიდებლად აგებაში, შემოქმედებითი აზროვნებისა და სხვა უნარების განვითარებაში, რაც მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს. **შეესაბამება**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასაწვლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. ასევე წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებების ბარათებში კარგად ჩანს თუ რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. მეტი სიცხედისთვის კარგი იქნებოდა რომელიმე კომპლექსური დავალების თემატური მატრიცის ნიმუში ყოფილიყო წარმოდგენილი. თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ნებისმიერ ახალ მასალას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოსწავლეები თავად აგებენ. **შეესაბამება**

**3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

შესწავლილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლაში სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები გააკეთებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებას და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. ასევე სხვადასხვა შეფასების ზოგად რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე აქტიურად ხორციელდება თანამშრომლობა ამ მიმართულებით და ახალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო შეფასების აქტიურად განხორციელება იგეგმება. **შეესაბამება**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითის გაგება-გააზრებას, ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებშიც, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", "რაში გამომადგება მიღებული ცოდნა" **შეესაბამება**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შერჩეული რესურსებით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ეს დასტურდება პედაგოგებთან ინტერვიუდანაც. მათ აღნიშნეს რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეები ხედავდნენ ნასწავლი საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითებს, როგორ უკავშირდება ახალი მასალა ადრე ნასწავლ საკითხებს. **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

*საბაზო საფეხურის კურიკულუმები*

*კომპლექსური დავალების ბარათები*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება როგორც, კომპლექსური დავალებებით, ასევე თემის ფარგლებში მოცემული საკითხებით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. .შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მასწავლებლებს აქვთ ძირითადი თემები განსაზღვრული. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების განხორციელების, დამუშავებისა და გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს და ინდიკატორს.
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

4. დიდწილად საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. უცხოურ ენებში წარმოდგენილი რუბრიკების ნაწილი ვერ უზრუნველყოფს ობიექტურობას, ვალიდურობასა და სანდოობას იმდენად, რამდენადც რუბრიკებში ამა თუ იმ კონკრეტულ კრიტერიუმს, მინიჭებული აქვს ქულათა დიაპაზონი (0-1, 10-9. 8-7 და ა.შ). მაგალითად ტექსტთან მუსაობის რუბრიკაში მოცემულია კრიტერიუმი ''გამოხატავს საკუთარ თვალსაზრისს: საუბრობს ტექსტში გამოთქმული ჰიპოთეზის შესახებ და იყენებს ვარაუდის გამომხატველ კონსტრუქციებს, იცავს საკუთარი არგუმენტებით'', რომლის ქულობრივი წილიც არის 3 ქულა, თუმცა არაა დაკონკეტებული რა შემთხვევაში იღებს 3 ქულას, 2 ქულას ან ერთ ქულას. ლაპარაკის შეფასების რუბრიკაში 10-9 ქულით ფასდება მოსწავლეს თუკი იგი '' კარგად საუბრობს იყენებს თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას და შესაბამის ნასწავლ გრამატიკულ კონსტრუქციებს სწორად. გამოყენებული ლექსიკა მრავალფეროვანია. მისი საუბარი გასაგებია. არ უშვებს არანაირ შეცდომას.(ზოგჯერ უშვებს რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომას წარმოთქმისას''. ბუნდოვანია, რაზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს მასწავლებელმა კონკრეტულ მოსწავლეს ეკუთვნის 10 თუ 9 ქულა. გარდა ამისა, ერთმა მასწავლებელმა რამდენიმე შეცდომად შეიძლება მიიჩნიოს 3, სხვა მასწავლებელმა 5 ან 4 და ა.შ. ასევე, შესაძლოა დაშვებული შეცდომები განსხვავდებოდეს სირთულით. მაგალითად მოსწავლემ დაუშვა 3



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

შეცდომა გამოთქმაში, მეორე მოსწავლემაც 3, მაგრამ გრამატიკული დროები ან სიტყვათა წყობა გამოიყება არასწორად. ხსენებული შეცდომები არაა ერთნაირი მნიშნელობის და მხოლოდ რაოდენობაზე ვერ მოვაცდენ აპელირებას. ამდენად საჭიროა განისაზღვროს როგორც დასაშვებ შეცდომათა რაოდენობა ისე მისი ტიპი, რომ თავიდან ავიცილოთ არაობიექტურობა და დაცული იყოს სანდოობა. მსგავსი ხარვეზებია სხვა წარმოდგენილი რუბრიკების დიდ ნაწილშიც, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის მოსწავლის შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობას. იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ არსებული ხარვეზი საჭიროა რუბრიკების გადახედვა, გაუმჯობესება და ქულების ისე გადანაწილება რომ არ რჩებოდეს კითხვის ნიშნები. რადგან სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით და ასევე, მზაობას გამოთქვამენ გააუმჯობესენ არსებული რუბრიკები ამა თუ იმ ნაწილში, ზემოთ ხსენებული **ხარვეზის მიუხედავად, კრიტერიუმი 2.2.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.**

5. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არსებული მდგომარეობით ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს და 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც დაარეგულირებს: შეფასების დიზაინს, შეფასების განმახორციელებელ რგოლს, შერჩევის პრინციპებს, ვერიფიკაციის პროცესის აღწერას, შედეგებს, შედეგების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ასახვას და სამოქმედო გეგმას. ამ ეტაპზე წარმომიდგინეს შემაჯამებლის ანალიზი, კათედრაზე რუბრიკების შემუშავება.იგეგმება მომავალ სასწავლო წელს ამ მიმართულებით კათედრის მუშაობა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.

**ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა სამომავლოდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ კრიტერიუმით სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**სკოლას დოკუმენტებიდან წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურზე კურიკულუმების ჩარჩო, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
1. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
2. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც უზრუნველყოფილია შინაგანაწესით და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხებით - მისია და ხედვა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სკოლის არჩევანზე, იყოს მოსწავლის მხარდამჭერი, შექმნას ინოვაციური სასწავლო გარემო და მოამზადოს აქტიური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე მოსწავლე, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროების გათვალისწინებით უსაფრთხო და შესაძლებლობებით მდიდარ გარემოში. სწავლა სწავლების პროცესი მიმდინარეობს კეთილგანწყობილ გარემოში, რასაც ცხადყოფს მასწავლებლების ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს - „კრიტიკული მეგობრის“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

კუთხით, რის შემდეგაც მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების დროს აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, გამოკვეთენ სწავლის პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს და ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე. ეს გამოიხატება ერთობლივად შემუშავებული და მოსწავლის საჭიროებებს მაქსიმალურად მორგებული კურიკულუმებით და ისგ გეგმებით. მასწავლებლები უზრუნველყოფენ სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის სრულად ადაპტირებული, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნას, რადგან სწავლების დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია**

2. მასწავლებლებს გათავისებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია სწავლის სტილით და ინტერესებით, ამიტომ ცდილობენ სწავლის პროცესი დაგეგმონ ისე, რომ მორგებული იყოს ყველა მოსწავლის საჭიროებას. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან გამოავლინონ მოსწავლის ინტერესები და მიდრეკილებები, განავითარონ მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარი და შრომისუნარიანობა, ხელი შეუწყონ აქტიური მოქალაქის ფორმირებას და შექმნან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

საფუძველები განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეებზე დაკვირვებას და გამოკითხვას, რათა გამოიკვეთოს მათი ინტერესები და სურვილები, რასაც კურიკულუმების დაგეგმვისას და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გაითვალისწინებენ. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით მასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, რათა ისინი აღიჭურვონ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ ჩვევებით.

**ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია**

3. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში სწავლა სწავლება დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არის პოზიტიური და აქტიური ურთიერთობა და ყველას აზრი გათვალისწინებულია სწავლა სწავლების პროცესის დაგეგმვისას. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. შემდეგ სამუშაო შეხვედრებზე შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დასახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. ამაზე მიუთითებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: გაკვეთილზე დასწრების გეგმა და რეფლექსია, ასევე სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები: „ვაჩუქოთ წიგნები სკოლას“ და „ჩვენ გვინდა სუფთა გარემო“, სადაც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების გარდა მათი მშობლები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციაც იღებდა მონაწილეობას. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა გარემოსდაცვით საკითხებზე, სასკოლო საზოგადოების გარდა, ითანამშრომლეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და თემთან. სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტ ერთობლივ პროექტს და ინტეგრირებულ გაკვეთილს.

**ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია**

4. სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მრავალ აქტივობას. ამის დასტურია მკითხველთა კლუბის წარმოდგენილი პროექტები - „გოდერძი ჩოხელის ფილმად ქცეული ნაწარმოებები“ და „ნოდარ დუმბაძე - მზით სავსე მწერალი“, რომლის რეფლექსიაშიც იკითხება, რომ მოსწავლეები არაფორმალურ გარემოში თავისუფლად გრძნობდნენ თავს, ეძლეოდათ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ასევე სკოლაში განხორციელდა სოციალური პროექტები - „ვაჩუქოთ წიგნები სკოლას“ და „ჩვენ გვინდა სუფთა გარემო“ - საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით, სადაც წახალისებული იყო პოზიტიურ გარემოში თანატოლებთან თანამშრომლობისა და პიროვნულ განვითარებაზე მიმართული აქტივობები. აღნიშნული ხელს უწყობს კლასებს შორის თანამშრომლობასა და და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებაზე სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საბაზო საფეხურის კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა
შინაგანაწესი
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
მოსწავლეთა თვითმმართველობა
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ანგარიში
ისგ-ს ლინკები და ოქმები
გაკვეთილის გეგმა, მასწავლებლის რეფლექსია

მკითხველთა კლუბის და სოციალური პროექტები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 **მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ შექმნილ კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომლის დახმარებითაც უფრო მკაფიო ხდება რა კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. ეს მეთოდოლოგიური ჩარჩო გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებებისათვის. თვითშეფასების დოკუმენტში ასევე ნახსენებია, რომ სკოლა იყენებდა კითხვარებს, რომლებსაც ავსებდნენ მოსწავლე მასწავლებელი და მშობელი. ამ ეტაპზე სკოლა არის მუშა პროცესში და მუშაობს რათა დახვეწოს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა-დანერგვა. რაც შეეხება მასწავლებელთა მონიტორინგს, ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ აღნიშნული ხორციელდება გაკვეთილებზე კათედრის წევრების ურთიერთდასწრებითა და ადმინისტრაციის დასწრებით. დასწრების შემდეგ იწერება რეფლექსია და გაიცემა უკუკავშირი. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, კათედრები აკეთებენ სწავლის პროცესების ანალიზს მასწავლებლების თვითშეფასებისა და კათედრების ანგარიშის სახით. რაც შეეხება შეფასებას, არჩეული აქვთ პირველი მოდელი და მოქმედებენ შესაბამისად. რადგან სკოლა მზაობას აცხადებს გააუმჯობესოს მუშაობა ამ მიმართულებით და ამავდროულად აქვთ მონიტორინგის გარკვეული გამოცდილება, **კრიტერიუმი 2.3.1.1 შეგვიძლია მივიჩნიოთ სტანდართად შესაბამისად.**

2.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას მიიჩნევს პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვისა და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლის საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარ დანიშნულებად ასახელებს სასკოლო საზოგადოების გაძლიერებასა და მხარდაჭერას. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების შედეგად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

გაცემული უკუავშირიდან გამომდინარე იგეგმება გაუმჯობესების გზები, მაგალითად ტრენინგები, წარმატებული კოლეგების გამოცდილების გაზიარება და ა.შ. ამდენად, **კრიტერიუმი 2.3.1.2 შეგვიძლია მივიჩნიოთ სტანდართად შესაბამისად.**

3. როგორც წინა კრიტერიუმებში უკვე ვახსენე, სკოლა მონიტორინგის არსებულ მექანიზმს იყენებს სკოლის საჭიროებების იდენტიფიცრებისა და მათი გაუმჯობესების მიზნით. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე სკოლა მუშაობს ახალი მექანიზმის დახვეწაზე, რომლის მთავარი მიზანიც კვლავ შედეგების გაუმჯობესება იქნება და ორინტირებული იქნება მხარდაჭერაზე. რადგან სკოლა მზაობას აცხადებს გააუმჯობესოს მუშაობა ამ მიმართულებით და ამავდროულად აქვთ მონიტორინგის გარკვეული გამოცდილება, **კრიტერიუმი 2.3.1.3 შეგვიძლია მივიჩნიოთ სტანდართად შესაბამისად.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--------------------------
--------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის თვითშეფასების კითხვარი, დირექტორის მოადგილის ანგარიში 2022-2023 პირველი სემესტრი
2. სკოლის თვითშეფასების კითხვარი, დაწყებითების ანალიზი (1), დირექტორის მოადგილის ანგარიში 2022-2023 პირველი სემესტრი
3. სკოლის თვითშეფასების კითხვარი, დაწყებითების ანალიზი (1), დირექტორის მოადგილის ანგარიში 2022-2023 პირველი სემესტრი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

1. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა კარგად არის მოცემული შეფასების რუბრიკებში, რომლებიც ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებზეა ორიენტირებული. **შეესაბამება**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** ;

მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით მიმდინარეობს. **შეესაბამება**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მასწავლებელი შეფასების დროს ითვალისწინებს შეფასების სხვადასხვა ფორმებს, რომელიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მასწავლებელი ცდილობს მოაგროვოს სრული ინფორმაცია მოსწავლის შესახებ მრავალფეროვანი წყაროებიდან. სრულყოფილი ინფორმაციისთვის, მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეს, მის თანატოლს, მშობელს, დამრიგებელს, მოსწავლის ყველა მასწავლებელსა და სკოლის სხვა პერსონალს, რათა ზუსტ ინფორმაციასთან უფრო მიახლოებული ვარიანტი მიიღოს. **შეესაბამება**

.4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით** ;

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი -1 -ის გამოყენებას; შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებსაც, რომლებიც დაეხმარება შეფასებისას. **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი;
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, და თვითშეფასების ფორმაშიც იკითხება, სკოლა პირველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს ახდენს სასწავლო პროცესის შეჯამებას. კონკრეტულად, კათედრის თავმჯდომარეების, მასწავლებელთა თვითშეფასების ანგარიშებით, დიაგნოსტირების შედეგების ანალიზის ანგარიშებით და დირექტორის მოადგილის ანგარიშებით. ამ ეტაპზე სკოლა მუშაობს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო სამუშაოებზე. ამ ინფორმაციის გაზიარება ხდება მშობელთა კრებებზე და კათედრებზე. კურიკულუმის განვითარება ხდება, მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიაზე დაყრდნობით (მაგ; დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი და დაგეგმილი გაკვეთილი), რაც მიემართება დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. 2022-2023 საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ახალი 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, სამოქმედო წლიური გეგმა მკაფიოდ ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები (დასტურდება- მასწავლებელთა თვითშეფასება-ანგარიში). დაგეგემვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

გააზრებულია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დაასტურდება მშობელთა კრების და კათედრის ოქმებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

**აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებისას, ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას. მტკიცებულებით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის 2023-2024 წლის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილება. გრძელვადიან მიზნად განსაზღვრული აქვს სამიზნე ცნებები, ხოლო შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახითაა წარმოდგენილი. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრის წევრებთან, აანალიზებდნენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება, საგნობრივი სტანდარტის მიხედვით სამიზნე ცნებები, დამატებითი რესურსები და კომპლექსური დავალებების ბანკი, კომპლექსური დავალების ბარათები. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ასევე 2022-2023 სასწავლო წლის საბაზო კლასების კურიკულუმები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

კათედრის ოქმები და ანგარიშები. სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახულია მოსწავლეთა შედეგები, რაც დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დიაგნოსტიკური ტესტირება; ტესტირების შედეგები ანალიზი/პრეზენტაცია; მშობელთა კრების ოქმები; დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგების ანალიზი), მასწავლებელთა მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები (სასკოლო პროექტი: შემაჯამებელ დავალებების ჩატარებისას არსებული პრობლემები და მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებების დანერგვა; მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა 2021-2022 სასწავლო წელი; გაკვეთილზე დასწრება და შემდგომი რეფლექსიები, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები), სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებით. (წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები). აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. გრძლევადიანი მიზნები ანუ კურიკულუმის კონცეპტულუალური ჩარჩო, დაგეგმილი კურიკულუმი, როგორც ამ მიზნების მიღწევის კონკრეტული გზა და რეალიზებული კურიკულუმი განიხილებოდეს, როგორც ერთი მთელი პროცესი, სადაც თითოეული მხოლოდ დანარჩენის კონტექსტში იძენს მნიშვნელობას. **აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საბაზო კლასების კურიკულუმი 2022-2023 სასწ.წელი

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო პაკეტი 2023-2024 სასწავლო წელი;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023;

სასკოლო პროექტი: შემაჯამებელ დავალებების ჩატარებისას არსებული პრობლემები და მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებების დანერგვა.2019-2020 სასწავლო წელი

კათედრის ოქმები;

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში;

დირექტორის მოადგილის 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიში;

დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგების ანალიზი;

მშობელთა კრების ოქმები;

მასწავლებლის თვითშეფასება-2021-2022 სასწავლო წლის შეჯამება;

დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი და დაგეგმილი გაკვეთილი;

გაკვეთილზე დასწრება და შემდგომი რეფლექსიები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.............................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--------------------------
--------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. დაწყებითი კლასების კურიკულმების შექმნაში მონაწილეობას იღებენ სასკოლო საზოგადოების წევრები. დაწყებითი კლასების დამრიგებლები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მშობლების მოწვევას და მათ ინფორმირებას ახალ კურიკულუმებთან დაკავშირებით, რათა გაითვალისწინონ მშობელთა მოსაზრებები ამ პროცესებთან დაკავშირებით. სკოლამ იმუშავა და შექმნა კურიკულუმის მეთოდოლოგიის კონკრეტული დოკუმენტის, რომელიც სკოლაში ვიზიტის დროს იქნა წარმოდგენილი. კათედრის წევრი მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ მეთოდოლოგიის შექმნაზე, რათა კურიკულუმის შემუშავების პროცესი ყოფილიყო უფრო ჩართული, გაზიარებული და გამჭვირვალე. ასევე, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მზაობა შემდგომი თანამშრომლობისა რათა საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტში შეიტანონ ცვლილებები და შექმნან იმგვარი მეთოდოლოგია, სადაც კარგად ასახება მთელი წლის მანძილზე კურიკულუმზე მუშაობის პროცესი და გამოიკვეთება, როგორ ხდება წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რათა მოხდეს ინტერესების/პრიორიტეტების გამოკვეთა და მათი ასახვა ამ დოკუმენტში. **შეესაბამება**

2. კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრები ერთობლივად მსჯელობენ, თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა წინა სასწავლო წლის კურიკულუმის დაძლევა. ტარდება დიაგნოსტიკური შეფასებები, რათა დადგინდეს მოსწავლეთა მიღწევის დონე სხვადასხვა მიმართულებით და მოხდეს მათი საჭიროებების გათვალიწინება ახალ კურიკულუმებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ასევე, მიღებულ შედეგებს უზიარებენ მშობლებს, რათა მოხდეს მათი ინტერესების დადგენა/გათვალიწინებაც.

**შეესაბამება**

სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულობისთვის სკოლაში შექმნილია პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა. კურიკულუმის შემუშავებამდე ხდება გამოცდილების გაზიარება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა/გათვალისწინება. ხდება სკოლის დირექციის, კათედრების ურთიერთთანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვას. **შეესაბამება**

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის შექმნასა და განვითარებაში. სკოლა ამ როლის და პასუხისმგებლობის გასაზრდელად გეგმავს კათედრების მეტად გააქტიურებას. კათედრის წევრები განიხილავენ საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო პაკეტებს, ახდენენ შედარებას წინა სასწავლო წელს განხორციელებულ პროეტებთან/კომპლექსურ დავალებებთან და ახალ კურიკულუმებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ადგენენ გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე, ხდება მშობლების ინფორმირება და მათი ჩართულობა. შესაბამისად, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **შეესაბამება**

4. სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომი და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მისი ნახვა სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია როგორც მატერიალური, ასევე ელქტრონული ფორმით. სკოლა უფრო აქტიურად გეგმავს თანამშრომლობას მშობლებთან. ამ ეტაპზე სკოლას აქვს მათთან ურთიერთობის და ინფორმირების სხვადასხვა საშუალებები. თითქმის ყველა დამრიგებელს სოციალურ ქსელში შექმნილი აქვს მშობელთა ჯგუფი, სადაც ხდება სიახლეების გაცნობა, ასევე ტარდება მშობელთა კრებები. ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმებისა და სადამრიგებლო პროგრამების მარტივად ხელმისაწვდომობისთვის იგეგმება ამ მასალის გაზიარება კლასების, მშობლებისა და მოსწავლეებისათვის შექმნილ დახურულ ჯგუფებში და სასკოლო საზოგადოებაში, როგორც ზეპირ შეხვედრებზე, ასევე ელექტრონული ფორმით.

ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმების შემუშავებისას ხდება კეთედრებს შორის თანამშრომლობა, გაზიარება, უკუკავშირის გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ თავისი როლი და პასუხისმგებლობა მათ მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

შექმნილი კურიკულუმის განვითარებაში, ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;

ინტერვიუ.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საშუალო საფეხურის მე-10 და მე-12 კლასებში. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა, რომელსაც ახლავს შესაბამისი სამიზნე ცნება, რესურსები, რომლის საშუალებითაც მიიღწევა მიზანი.

წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. მასწავლებლები ხშირად იყენებენ სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდს, აქტივობას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ და აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებისათვის საჭირო რესურსებსაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, სამიზნე ცნებები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს, კურიკულუმი გაწერილია საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმებს შეავსებენ და სრულყოფილ სახეს მისცემენ , კარგად იციან, რომ ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება სავალდებულოა ყველა თემის ფარგლებში. ქართულ ენასა და ლიტერატურაში საშუალო საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს ( სინთეზურ ესეს, რეფერატს, არგუმენტირებულ ესეს, წარმოსახვით ინტერვიუს, მონოლოგს, სამოტივაციო წერილს და სხვ.), რომელთა საშუალებითაც ისინი ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. ასევე, შეფასების რუბრიკების დახვეწითა და განვითარებით , მკაფიოდ იქნება გამოხატული მოსწავლეთა ნაშრომების საუკეთესო თუ გასაუმჯობესებელი მხარეები. ქართული ენის პედაგოგებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას. მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

მაკროცნება ,,წიგნიერება“. შერჩეული კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. ამასთან, პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა შეიმუშავებს კურიკულუმის საბოლოო ვერსიას, რომელიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) უფრო მეტად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

სკოლას განხორციელებული აქვს სხვადასხვა სასკოლო პროექტები. ასევე, წარმოდგენილი აქვს დემოკრატიული სკოლების ქსელში გასაწევრიანებლად განხორციელებული პროექტის გეგმები, რაც ხელს უწყობს როგორც დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა საშუალო საფეხურისთვის. საშუალო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია განმავითარებელი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ბოლოს, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ორივე ტიპი - განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც- ემსახურება ამ ამოცანების შესრულებას, რათა დაიფაროს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნები. კათედრის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. დირექციას აწვდიან კათედრის ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილია ანალიზი ყველა კლასში ჩატარებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოების, დიაგნოსტიკური ტესტირებისა და კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგებისა. ასევე, წარმოდგენილია დირექტორის მოადგილის ანგარიში , რომელიც ეხება მოსწავლეთა შეფასების სისტემებს, გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებას. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ესაა მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები, რაც სკოლამ წაემოადგინა, მასწავლებელთა სემესტრული ანგარიშები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მე-10 კლასის კურიკულუმი;

მე-12 კლასის კურიკულუმი;

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

კათედრის ანგარიში;
დირექტორის მოადგილის ანგარიში;
მასწავლებლის რეფლექსია;
პროექტების გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრება სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, საკითხების საგნობრივ ცოდნასთან და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებით უხდება. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს ცხოვრებისეული გამოცდილება, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით დაგეგმილი სასწავლო პროცესები, ასევე საკლასო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება, რაც მოსწავლეებს დაეხმარათ ცოდნის დამოუკიდებლად აგებაში, შემოქმედებითი აზროვნებისა და სხვა უნარების განვითარებაში, რაც მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს. **შეესაბამება**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასაწვლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. ასევე წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებების ბარათებში კარგად ჩანს თუ რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. მეტი სიცხედისთვის კარგი იქნებოდა რომელიმე კომპლექსური დავალების თემატური მატრიცის ნიმმუში ყოფილიყო წარმოდგენილი. თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ნებისმიერ ახალ მასალას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოსწავლეები თავად აგებენ. **შეესაბამება**

**3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

შესწავლილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლაში სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები გააკეთებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებას და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. ასევე სხვადასხვა შეფასების ზოგად რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე აქტიურად ხორციელდება თანამშრომლობა ამ მიმართულებით და ახალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო შეფასების აქტიურად განხორციელება იგეგმება. **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითის გაგება-გააზრებას, ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებშიც, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", "რაში გამომადგება მიღებული ცოდნა" **შეესაბამება**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შერჩეული რესურსებით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ეს დასტურდება პედაგოგებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ინტერვიუდანაც. მათ აღნიშნეს რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეები ხედავდნენ ნასწავლი საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითებს, როგორ უკავშირდება ახალი მასალა ადრე ნასწავლ საკითხებს. **შეესაბამება**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

*საშუალო საფეხურის კურიკულუმები*

*კომპლექსური დავალების ბარათები*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

გ

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება როგორც, კომპლექსური დავალებებით, ასევე თემის ფარგლებში მოცემული საკითხებით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. .შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მასწავლებლებს აქვთ ძირითადი თემები განსაზღვრული. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების განხორციელების, დამუშავებისა და გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

განვითარებას. შესაბამისად, სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს და ინდიკატორს.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

5.მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არსებული მდგომარეობით ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს და 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც დაარეგულირებს: შეფასების დიზაინს, შეფასების განმახორციელებელ რგოლს, შერჩევის პრინციპებს, ვერიფიკაციის პროცესის აღწერას, შედეგებს, შედეგების ასახვას და სამოქმედო გეგმას. ამ ეტაპზე წარმომიდგინეს შემაჯამებლის ანალიზი, კათედრაზე რუბრიკების შემუშავება.იგეგმება მომავალ სასწავლო წელს ამ მიმართულებით კათედრის მუშაობა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.

**ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა სამომავლოდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ კრიტერიუმით სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**სკოლას დოკუმენტებიდან წარმოდგენილი აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურზე კურიკულუმების ჩარჩო, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.**

**სკოლის განაცხადის ფორმა**

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
1. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
2. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც უზრუნველყოფილია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით - შინაგანაწესით და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხებით - მისია და ხედვა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სკოლის არჩევანზე, იყოს მოსწავლის მხარდამჭერი, შექმნას ინოვაციური სასწავლო გარემო და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

უზრუნველყოს საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება, ხელი შეუწყოს მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. სწავლა სწავლების პროცესი მიმდინარეობს კეთილგანწყობილ გარემოში, რასაც ცხადყოფს მასწავლებლების ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს - „კრიტიკული მეგობრის“ კუთხით, რის შემდეგაც მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების დროს აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს და ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე. ეს გამოიხატება ერთობლივად შემუშავებული და მოსწავლის საჭიროებებს მაქსიმალურად მორგებული კურიკულუმებით, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლების დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები ხელს უწყობს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სწავლის პროცესში და არაფორმალურ განათლებაში.

**ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია**

2. მასწავლებლებს გათავისებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია სწავლის სტილით და ინტერესებით, ამიტომ ცდილობენ სწავლის პროცესი დაგეგმონ ისე, რომ მორგებული იყოს მოსწავლეების საჭიროებებს. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან გამოავლინონ მოსწავლის ინტერესები, განავითარონ მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარი და ხელი შეუწყონ, რომ საკუთარი მიღწევები გამოიყენონ ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეებზე დაკვირვებას და გამოკითხვას, რათა გამოიკვეთოს მათი ინტერესები და სურვილები, რასაც კურიკულუმების დაგეგმვისას და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გაითვალისწინებენ. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით მასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, რათა ისინი აღიჭურვონ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ ჩვევებით.

**ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია**

3. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში სწავლა სწავლება დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არის პოზიტიური ურთიერთობა და ყველას აზრი გათვალისწინებულია სწავლა სწავლების პროცესის დაგეგმვისას. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები აქტიურად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. ამაზე მიუთითებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: გაკვეთილზე დასწრების გეგმა და მასწავლებლის რეფლექსია, ასევე სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები: „ერთად შევქმნათ უსაფრთხო გარემო" და „ჩვენ გვინდა სუფთა გარემო", სადაც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების გარდა, მათი მშობლები, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციაც იღებდა მონაწილეობას. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე, სასკოლო საზოგადოების გარდა, ითანამშრომლეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და თემთან. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი და მეწარმეობის კლუბი - „ახალგაზრდები მომავლისათვის" - მოსწავლეებში სამეწარმეო ცნობიერების ამაღლების მიზნით. პროექტებზე და კლუბში მუშაობისას მოსწავლეებს უვითარდებათ საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი უნარები. სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტი პროექტის განხორციელებას.

**ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია**

4. სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. იგრძნობა პოზიტიური კლიმატი, რაზეც მოწმობს შიდა სასკოლო აქტივობების შემდგომი დადებითი გამოხმაურება მოსწავლეების და მშობლების მხრიდან. სკოლის მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მრავალ აქტივობას. ამის დასტურია განხორციელებული პროექტები: „ერთად შევქმნათ უსაფრთხო გარემო“ და „ჩვენ გვინდა სუფთა გარემო“ - საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით, სადაც წახალისებული იყო პოზიტიურ გარემოში თანატოლებთან თანამშრომლობისა და პიროვნულ განვითარებაზე მიმართული აქტივობები. აღნიშნული ხელს უწყობს კლასებს შორის თანამშრომლობას და პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სკოლაში უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაზე და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს ზრუნვა დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნაზე.

**ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საშუალო საფეხურის კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა
შინაგანაწესი
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
მოსწავლეთა თვითმმართველობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ანგარიში
ისგ-ს ლინკები და ოქმები
გაკვეთილის გეგმა, მასწავლებლის რეფლექსია

მკითხველთა კლუბი, მეწარმეობის კლუბი - „ახალგაზრდები მომავლისათვის", სოციალური პროექტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შექმნილ კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომლის დახმარებითაც უფრო მკაფიო ხდება რა კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. ეს მეთოდოლოგიური ჩარჩო გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. თვითშეფასების დოკუმენტში ასევე ნახსენებია, რომ სკოლა იყენებდა კითხვარებს, რომლებსაც ავსებდნენ მოსწავლე მასწავლებელი და მშობელი. ამ ეტაპზე სკოლა არის მუშა პროცესში და მუშაობს რათა დახვეწოს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა-დანერგვა. რაც შეეხება მასწავლებელთა მონიტორინგს, ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ აღნიშნული ხორციელდება გაკვეთილებზე კათედრის წევრების ურთიერთდასწრებითა და ადმინისტრაციის დასწრებით. დასწრების შემდეგ იწერება რეფლექსია და გაიცემა უკუკავშირი. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, კათედრები აკეთებენ სწავლის პროცესების ანალიზს მასწავლებლების თვითშეფასებისა და კათედრების ანგარიშის სახით. რაც შეეხება შეფასებას, არჩეული აქვთ პირველი მოდელი და მოქმედებენ შესაბამისად. რადგან სკოლა მზაობას აცხადებს გააუმჯობესოს მუშაობა ამ მიმართულებით და ამავდროულად აქვთ მონიტორინგის გარკვეული გამოცდილება, კრიტერიუმი **2.3.1.1 შეგვიძლია მივიჩნიოთ სტანდართად შესაბამისად.**

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას მიიჩნევს პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვისა და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარ დანიშნულებად ასახელებს სასკოლო საზოგადოების გაძლიერებასა და მხარდაჭერას. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების შედეგად გაცემული უკუკავშირიდან გამომდინარე იგეგმება გაუმჯობესების გზები, მაგალითად ტრენინგები, წარმატებული კოლეგების გამოცდილების გაზიარება და ა.შ. ამდენად, **კრიტერიუმი 2.3.1.2 შეგვიძლია მივიჩნიოთ სტანდართად შესაბამისად.**

3. როგორც წინა კრიტერიუმებში უკვე ვახსენე, სკოლა მონიტორინგის არსებულ მექანიზმს იყენებს სკოლის საჭიროებების იდენტიფიცრებისა და მათი გაუმჯობესების მიზნით. ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ ამ ეტაპზე სკოლა მუშაობს ახალი მექანიზმის დახვეწაზე, რომლის მთავარი მიზანიც კვლავ შედეგების გაუმჯობესება იქნება და ორინტირებული იქნება მხარდაჭერაზე. რადგან სკოლა მზაობას აცხადებს გააუმჯობესოს მუშაობა ამ მიმართულებით და ამავდროულად აქვთ მონიტორინგის გარკვეული გამოცდილება, **კრიტერიუმი 2.3.1.3 შეგვიძლია მივიჩნიოთ სტანდართად შესაბამისად.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

☐ არ შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის თვითშეფასების კითხვარი, დირექტორის მოადგილის ანგარიში 2022-2023 პირველი სემესტრი
2. სკოლის თვითშეფასების კითხვარი, დაწყებითების ანალიზი (1), დირექტორის მოადგილის ანგარიში 2022-2023 პირველი სემესტრი
3. სკოლის თვითშეფასების კითხვარი, დაწყებითების ანალიზი (1), დირექტორის მოადგილის ანგარიში 2022-2023 პირველი სემესტრი

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა კარგად არის მოცემული შეფასების რუბრიკებში, რომლებიც ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებზეა ორიენტირებული.**შეესაბამება**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** ;

მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით მიმდინარეობს. **შეესაბამება**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მასწავლებელი შეფასების დროს ითვალისწინებს შეფასების სხვადასხვა ფორმებს, რომელიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელი ცდილობს მოაგროვოს სრული ინფორმაცია მოსწავლის შესახებ მრავალფეროვანი წყაროებიდან. სრულყოფილი ინფორმაციისთვის, მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეს, მის თანატოლს, მშობელს, დამრიგებელს, მოსწავლის ყველა მასწავლებელსა და სკოლის სხვა პერსონალს, რათა ზუსტ ინფორმაციასთან უფრო მიახლოებული ვარიანტი მიიღოს.**შეესაბამება**

.4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით** ;

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი -1 -ის გამოყენებას; შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებსაც, რომლებიც დაეხმარება შეფასებისას **შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი;
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.1.მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, და თვითშეფასების ფორმაშიც იკითხება, სკოლა პირველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს ახდენს სასწავლო პროცესის შეჯამებას. კონკრეტულად, კათედრის თავმჯდომარეების, მასწავლებელთა თვითშეფასების ანგარიშებით, დიაგნოსტირების შედეგების ანალიზის ანგარიშებით და დირექტორის მოადგილის ანგარიშებით. ამ ეტაპზე სკოლა მუშაობს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო სამუშაოებზე. ამ ინფორმაციის გაზიარება ხდება მშობელთა კრებებზე და კათედრებზე. კურიკულუმის განვითარება ხდება, მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიაზე დაყრდნობით (მაგ; დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი და დაგეგმილი გაკვეთილი), რაც მიემართება დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. 2022-2023 საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ახალი 2023-2024 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, სამოქმედო წლიური გეგმა მკაფიოდ ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები (დასტურდება-მასწავლებელთა თვითშეფასება-ანგარიში). დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

შედეგები გააზრებულია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დაასტურდება მშობელთა კრების და კათედრის ოქმებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. **აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2..მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებისას, ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას. მტკიცებულებით წარმოდგენილი საშუალო საფეხურის 2023-2024 წლის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილება. გრძელვადიან მიზნად განსაზღვრული აქვს სამიზნე ცნებები, ხოლო შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახითაა წარმოდგენილი. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრის წევრებთან, აანალიზებდნენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება, საგნობრივი სტანდარტის მიხედვით სამიზნე ცნებები, დამატებითი რესურსები და კომპლექსური დავალებების ბანკი, კომპლექსური დავალების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

ბარათები. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ასევე 2022-2023 სასწავლო წლის საშუალო კლასების კურიკულუმები, კათედრის ოქმები და ანგარიშები. სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახულია მოსწავლეთა შედეგები, რაც დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დიაგნოსტიკური ტესტირება; ტესტირების შედეგები ანალიზი/პრეზენტაცია; მშობელთა კრების ოქმები; დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგების ანალიზი), მასწავლებელთა მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები (სასკოლო პროექტი: შემაჯამებელ დავალებების ჩატარებისას არსებული პრობლემები და მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებების დანერგვა; მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა 2021-2022 სასწავლო წელი; გაკვეთილზე დასწრება და შემდგომი რეფლექსიები, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები), სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებით. (წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები). აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. გრძლევადიანი მიზნები ანუ კურიკულუმის კონცეპტულუალური ჩარჩო, დაგეგმილი კურიკულუმი, როგორც ამ მიზნების მიღწევის კონკრეტული გზა და რეალიზებული კურიკულუმი განიხილებოდეს, როგორც ერთი მთელი პროცესი, სადაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

თითოეული მხოლოდ დანარჩენის კონტექსტში იძენს მნიშვნელობას. **აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საშუალო კლასების კურიკულუმი 2022-2023 სასწ.წელი

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო პაკეტი 2023-2024 სასწავლო წელი;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023;

სასკოლო პროექტი: შემაჯამებელ დავალებების ჩატარებისას არსებული პრობლემები და მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებების დანერგვა.2019-2020 სასწავლო წელი

კათედრის ოქმები;

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში;

დირექტორის მოადგილის 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიში;

დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგების ანალიზი;

მშობელთა კრების ოქმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

მასწავლებლის თვითშეფასება-2021-2022 სასწავლო წლის შეჯამება;

დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი და დაგეგმილი გაკვეთილი;

გაკვეთილზე დასწრება და შემდგომი რეფლექსიები,

გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

........................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------

..................................................................................................................................................................................................................

......................
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------